აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობა

ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ . №89/24; ტელ.: (+99532) 2 15 92 95; E-mail: info@zemoapkhazeti.ge

N 350
06/06/2019

350-0-2-201906061741

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ მამუკა ბახტაძეს

მოგესალმებით ბატონო მამუკა,

აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის სახელით, პირველ რიგში გამოვხატავთ უდიდეს პატივისცემას და მადლიერებას, იმ ხელშეწყობისთვის, რომელსაც 2008 წლიდან ჩვენი მუნიციპალიტეტის მიმართ ახორციელებთ, მორალური და მატერიალური მხარდაჭერის სახით, ასევე, მთელი აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტიდან იძულებით გადაადგილებული პირების და ასევე ზემო აფხაზეთში, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ამჟამად მცხოვრები ადამიანების სახელით.

მოკლედ მოგახსენებთ აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის შესახებ. 2006 წლიდან 2008 წლამდე ჩვენზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს წარვმართავდით ზემო აფხაზეთის ტერიტორიაზე, ხოლო 2008 წლის შემდგომ, სახელმწიფოს თანადგომით, ხელშეწყობით და დაფინანსებით ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის №89/24-ში მდებარე ფართში, რომელიც ქ. მერიის მხრიდან დროებითი სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის სახით გვაქვს გადმოცემული. ვახორციელებთ ბიუჯეტში გაწერილ უმეტესად სოციალურ ასევე, გარკვეული სახით საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს, რითიც შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას ვუწევთ აჟარის (ზემო აფხაზეთის) ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს. ზემო აფხაზეთიდან დევნილ პირებს შუამდგომლობას ვუწევთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თუ სხვა უწყებებთან. კომპაქტურად ჩასახლებულების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, თანადაფინანსების ფორმით, ვაფინანსებთ საცხოვრებელი შენობისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის ხარჯებს.

ზემო აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თანდათანობით ადაპტირდა ახალ საცხოვრებელ გარემოსთან. გარკვეული რიგითობით იღებენ სახელმწიფოსგან საცხოვრებელი ფართისთვის საჭირო თანხას ან საცხოვრებელ სახლებს და მეტ-ნაკლებად გრძნობენ იმ მცირე სიკეთეს, რაც კანონით მათთვის განკუთვნილია.

თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო იმ დევნილებზე, რომლებიც 2009 წელს დაბრუნდნენ ზემო აფხაზეთის ტერიტორიაზე და უმძიმესი პირობების მიუხედავად, ისევ იქ განაგრძეს ცხოვრება, სადაც არ ჰქონდათ ელემენტარული საცხოვრებელი პირობები, კომუნიკაცია, არანაირი უსაფრთხოება, გადაადგილების საშუალებები, ახლობელი ადამიანებისგან სიშორე და ყველაფრის მიუხედავად, მათ საკუთარ თავზე აიღეს ის უმძიმესი ტვირთი, რომელიც დღემდე წარმოუდგენლად მძიმე და რთულია. სწორედ ამ ადამიანების გამბედაობის, სიყვარულისა და თავგამოდების შედეგია ის, რომ დღეს ზემო აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული ოჯახები ცხოვრობენ და გვინარჩუნებენ ქვეყნისთვის ასე მნიშვნელოვანი ნაწილის დაბრუნების იმედს.

მოკლედ მოგახსენებთ იმ დახმარებაზე, რომელსაც ეს ადამიანები იღებენ სახელმწიფოსგან ამ განსაკუთრებული ხვედრის გამო. ეს გახლავთ წელიწადში თითოეულ ოჯახზე 2000 ლარის ოდენობით დახმარება, რომელიც გადაეცემათ პრემიერ მინისტრის ფონდიდან შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის გავლით და არასამთავრობო ორგანიზაციის ჩართულობით, რისთვისაც ჩვენი მუნიციპალიტეტისა და თითოეული მათგანის სახელით, დიდ მადლობას მოგახსენებთ.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი დაკვირვებით და ადამიანების მდგომარეობისა და პირობების გათვალისწინებით, ეს თანხაც კი ძალიან მცირეა იმ მიზნის გათვალისწინებით, რასაც თითოეული მათგანის იქ ყოფნა ემსახურება.

რთული კომუნიკაცია, ზემო აფხაზეთის სოფლებსა და ოკუპირებული ტერიტორიიდან გასვლა-შესვლის სერიოზული სირთულეები, რასაც ზოგიერთი მათგანი წლების მანძილზეც ვერ ახერხებს. პირველადი მოხმარების მედიკამენტებისა და იმ ელემენტარული პირობების არქონა, რაც ადამიანის არსებობისთვისაა საჭირო. ამას ემატება ის სტრესი, დაძაბულობა, რასაც იწვევს უსაფრთხოების ნორმების არარსებობა, მათი დაუცველობის შეგრძნება, მხოლოდ საკუთარი თავის და ერთმანეთის იმედად ყოფნა, რადგან სახელმწიფოს და ჩვენს მუნიციპალიტეტს არანაირი ბერკეტი არ გააჩნია მათი უფლებების და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ეს არის მათი რეალობა, რომელიც მხოლოდ მცირედით წარმოვაჩინეთ, ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად, თუმცა სირთულეების და პრობლემების სიმრავლე გაცილებით დიდი, მწვავე და მრავალფეროვანია.

სწორედ ამ პირობების გამო, ბევრი ადამიანის და ოჯახის მძიმე, მაგრამ გასაგები გადაწყვეტილებით, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დაბრუნდა საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე საცხოვრებლად. მათ ვერ ნახეს სტიმული, სათანადო თანადგომა, მხარდაჭერა, უსარგებლოდ, გარიყულად და დაუცველად იგრძნეს თავი,

იმედი დაკარგეს და დიდი გულისტკივილით ხელმეორედ დატოვეს ზემო აფხაზეთის ტერიტორია. ასეთი ადამიანების რიცხვი სამწუხაროდ არის მზარდი.

როგორც ნათელია და ამაში დღევანდელი რეალობა გვარწმუნებს, ეს არის ის საფრთხე და იმ უკანასკნელი იმედის დაკარგვა ზემო აფხაზეთში მცხოვრები ქართველი ოჯახების სახით, რომელიც ქვეყნისთვის გაცილებით პრიორიტეტულია, ვიდრე ეს მხოლოდ მოქალქეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. ეს არის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების სასიცოცხლო ბრძოლა ფაქტობრივად ამ სინათლის შესანარჩუნებლად, რაც სახელნწიფოს ჩვენი მოკრძალებული აზრით უფრო მეტად უღირს.

ამოცანა, რომელიც დღეს ჩვენი ქვეყნის ინტერესების წინაშე დგას, ეს არის ამ ადამიანების მეტი თანადგომა. ამ ეტაპზე თუნდაც ფინანსური და მატერიალური სახით, რადგან სხვა სახის თანადგომას სამწუხაროდ დღეს ჩვენი ქვეყანა უფლებრივად მოკლებულია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ, მუნიციპალიტეტს სამწუხაროდ არ გაგვაჩნია ამის არც ფინანსური და არც სამართლებრივი ბერკეტები, რის გამოც მოგმართავთ და დიდი თხოვნით მოგიწოდებთ, რომ დღის წესრიგში დადგეს ამ ადამიანების მატერიალური პირობების გაუმჯობესების საკითხი.

ჩვენი აზრით, ის მცირე რეკომენდაციები, რჩევები და თხოვნები, რომელიც რეალურად სახელმწიფო თვალსაზრისით მინიმალურია ამ საქმის მასშტაბურობიდან გამომდინარე და რაც ამ ეტაპზე ზემო აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა პირობებს ოდნავ მაინც გააუმჯობესებს, გახლავთ:

1. ტრანსპორტი, რომელიც გადაადგილების საშუალება იქნება ადამიანებისთვის ზემო აფხაზეთის სოფლებიდან ქ. სოხუმის მიმართულებით ენგურის ხიდამდე (ე. წ. საზღვარი) და უკან. მათ საკუთარი სახსრებით და დიდი წვალების ხარჯზე უწევთ ასეთი სატრანსპორტო საშუალების არა მხოლოდ დაქირავება მოძიებაც კი.
   მეტი სიცხადისთვის მოგახსენებთ, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი მონაცემებით, ეს უნდა იყოს მაღალი გამავლობის „უაზის“ ტიპის მიკრო ავტობუსი, რომელიც თანხობრივად 20000 ლარამდე დაუჯდება სახელმწიფოს. ტრანსპორტის გადაცემა არასამთავრობო ორგანიზაციის შუამდგომლობით იქნება შესაძლებელი წინასწარ განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირზე, რომელიც უზრუნველყოფს ამ სატრანსპორტო საშუალების მართვასა და მოსახლეობის ტრანსპორტირებას საჭიროებიდან გამომდინარე, ან წინასწარ გაწერილი გრაფიკის შესაბამისად. პასუხისმგებელი მძღოლის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურებას ასევე სახელმწიფო აიღებდა საკუთარ თავზე.

2. ჯანდაცვის პირობების მინიმალური ხელშეწყობა, თუნდაც მედიკამენტების დახმარებით, რომლის გადაცემა სახელმწიფოს შეუძლია სხვადასხვა გზით, მათ შორის ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების შუამდგომლობით. რადგან სახელმწიფოს მხრიდან ელემენტარული პირველადი დახმარებაც კი ვერ ხორციელდება, თითოეული ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ამ პირველადი დახმარებისა და

მედიკამენტების არარსებობის გამო, შეიძლება საფრთხის წინაშე დადგეს. ზემო აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფება კვალიფიციური ექთანი, რომელიც უანგაროდ და საკუთარი სახსრებით შეძენილი მცირედი მედიკამენტებით ცდილობს მოსახლეობის დახმარებას, რაც დამეთანხმებით ძალიან დიდ შრომასა და რესურსს მოითხოვს. სახელმწიფოს მხრიდან კეთილი ნების გამოჩენის შემთხვევაში კი შესაძლებელი იქნება მისთვის მედიკამენტების ოფიციალურად გადაცემა და ხელფასის ან სხვა სახით ყოველთვიური დახმარების გაწევა, რაც აბსოლიტურად სამართლიანი იქნება და სახელმწიფოს მხრიდან თითოეული ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვას შეუწყობს ხელს.

3. ასევე, ჩვენი მოსახლეობის გამოკითხვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით, რომ სახელმწიფოსგან გაწეული ყოველწლიური ერთჯერადი დახმარების სახით 2000 ლარის გადაცემა არა ოჯახებზე, არამედ სულადობის მიხედვით განხორციელდეს, რაც გაცილებით მეტი სარგებელის მომტანი იქნება თითოეული ადამიანისთვის, მით უფრო რომ იქ მრავალსულიანი ოჯახები ფაქტობრივად არ არიან ჩასახლებული და ზოგადად ამ ადამიანთა რიცხვი არც თუ ისე დიდია.

4. და ასევე, ჩვენი დიდი მოწოდებით და ამ მოსახლეობის ზემო აფხაზეთის ტერიტორიაზე „შენარჩუნებისთვის“ და მათთვის დამატებითი სტიმულის მისაცემად, უპრიანი იქნებოდა თუნდაც სოციალური დახმარების თუ სხვა სახით მათზე მუდმივი, ყოველთვიური დახმარების გაწევა, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით ან სამართლებრივად უფრო გამართლებული და გამარტივებული სხვა საშუალებებით.

იმედს ვიტოვებთ, რომ ერთობლივად შევძლებთ ამ დიდი სიკეთის გაკეთებას და ზემო აფხაზეთში მყოფი მოსახლეობის მოტივირებას და თანადგომას.

კიდევ ერთხელ მოგახსენებთ მადლობას გაწეული და მომავალში გასაწევი დახმარებისთვის და გვერდში დგომისთვის.

ასევე, ჩვენი მუნიციპალიტეტის სახელით გიცხადებთ ყველანაირ თანადგომას ნებისმიერ წამოჭრილ კითხვაზე, ინფორმაციასა თუ შუამავლობასთან დაკავშირებით და მზად ვართ საჭიროების შემთხვევაში, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციისა და რესურსების ფარგლებში, გაგიწიოთ დახმარება ამ საქმეში.

პატივისცემით,

ლაშა მარგიანი

გამგებელი